

2015 წლის ივნისში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. აღნიშნული საკანონმდებლო აქტი და ასევე, საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელსაც საქართველო არის მიერთებული, მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ არასრულწლოვანთა მიმართ განსაკუთრებულ მოპყრობას მოითხოვს. პრევენციული, საპოლიციო და საგამომიებო უფლებამოსილების განხორციელებისას არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ახალი კოდექსის მე-16 მუხლი მოითხოვს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი განხორციელონ სპეციალიზირებულმა პირებმა.

ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ, 2015 წლის 9 დეკემბრის სხდომაზე, დამტკიცდა წინამდებარე დებულება, რომელიც არეგულირებს ადვოკატთა სპეციალიზაციის წესსა და პროცედურებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში.

მუხლი 1

- 1.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში ადვოკატთა სპეციალიზაციის პროცესის მართვასა და მონიტორინგს ახორციელებს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი.
- 1.2. ტერიტორიული დაფარვის უზრუნველსაყოფად, ადვოკატთა შერჩევა/გადამზადება მოხდება ეტაპობრივად, საქართველოს მასშტაბით.

მუხლი 2

- 2.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში სპეციალიზებული კურსის ჩატარების მიზნით, ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი აცხადებს მსურველ ადვოკატთა რეგისტრაციას.

მუხლი 3.

- 3.1. ადვოკატს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში სპეციალიზაცია მიენიჭება სპეციალიზებული კურსის სრულად და კურსის ტესტირების წარმატებით გავლის საფუძველზე.

მუხლი 4.

- 4.1. კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 18 (თვრამეტი) საათს.
- 4.2. კურსი ტარდება ასოციაციის მიერ გამოყოფილ სივრცეში. ასევე, კურსი შესაძლოა ჩატარდეს დისტანციური (ონლაინ ტრენინგის) ფორმით.
- 4.3. კურსის შინაარსი განისაზღვროს დანართი 1-ის შესაბამისად (სპეციალიზებული კურსის მოდული/დღის წესრიგი)

მუხლი 5.

- 5.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში სასწავლო მოდულის/დღის წესრიგი შედგება შემდეგი საკითხებისგან:

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში საერთაშორისო სტანდარტები;
- ძალადობა ბავშვზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე;
- დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა (პროტოკოლი);
- ფსიქოლოგის როლი სისხლის სამართლის საქმეებში ბავშვის მონაწილეობით;

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებულ პუნქტებში ფსიქოლოგის საქმიანობის ძირითადი სფეროები;
- სისხლის სამართლის საქმეები ფსიქოლოგიურ ჭრილში.

მუხლი 6.

6.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზებული კურსის სრულად გავლის შემდგომ, სპეციალიზების მიღების მსურველი ადვოკატები აბარებენ ტესტირებას.

6.2. ტესტირება უნდა მოიცავდეს საერთაშორისო რეგულაციებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შედეგად, შემუშავებულ კითხვებს (10 (ათი) კითხვა – საერთაშორისო რეგულაციებიდან და 10 (ათი) კითხვა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან).

6.3. ტესტირება წარმატებით ჩაბარებულად ეთვლება კურსის მონაწილეს ოცი კითხვიდან მინიმუმ 15 (თხუთმეტი) კითხვაზე სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში.

6.4. საჭიროების შემთხვევაში, ტესტირება შეიძლება ჩატარდეს დისტანციური (ონლაინ) ფორმით.

6.5. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზებული კურსის გავლის შემდეგ, ტესტირების ვერ ჩაბარების შემთხვევაში, კურსის მონაწილეს მიეცემა შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ ჩააბაროს ტესტირება, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ შემუშავებული განმეორებითი ტესტირების განრიგის შესაბამისად.

6.6. განმეორებითი ტესტირების ვერ ჩაბარების შემთხვევაში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის მიღების მსურველმა ადვოკატმა ხელახლა უნდა გაიროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზებული კურსი სრულად და ჩააბაროს ტესტირება, ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად.

მუხლი 7.

7.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ სპეციალიზებულ კურსს გაუძღვებიან 2015 წლის ივლისში, საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით ჩატარებული ტრენერთა ტრენინგის მონაწილე სპეციალისტები და გამოცდილი ტრენერები.

მუხლი 8.

8.1. ტესტირების შედეგების გასაჩივრება კურსის მონაწილეს შეუძლია ერთჯერადად 6.6. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მისთვის ნაშრომის ოფიციალურად გაცნობიდან 30 დღის ვადაში (30.12.2020).

8.2. საჩივარს განიხილავს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული ექსპერტთა ჯგუფი.

8.3. საჩივრის განხილვა ხდება საჩივრის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

8.4. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გასაჩივრებული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების შესახებ დგება ექსპერტის დასკვნა.

8.4. ტესტების შემდგენ პირთა და ექსპერტთა ჯგუფის წევრ პირთა ვინაობა კონფიდენციალურია.

მუხლი 9.

9.1. სპეციალიზებული კურსის სრულად გავლისა და ტესტირების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე, ადვოკატს მიენიჭება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზებული ადვოკატის სტატუსი.

9.2. ადვოკატის სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში დასტურდება საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელ მოწმობასა და წევრთა ერთიან სიაში შემდეგი ჩანაწერით - „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“.

მუხლი 10.

10.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზებულ კურსში მონაწილეობა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის უფასოა.

დამტკიცებულია სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2015 წლის 9 დეკემბერის სხდომაზე.